ხელშეკრულება მომსახურების გამარტივებული შესყიდვების შესახებ №0923

ქ. თელავი 15 სექტემბერი 2011 წ.

ჩვენ ქვემოთ ხელმომწერნი, თელავის მუნიციპალიტეტი, გამგებლის მოვალეობის შემსრულებლის თედო ხოსროშვილის სახით, შემდგომში წოდებული „შემსყიდველი“ და მეორეს მხრივ **შპს „ლიმბო“ მისი დირექტორის მაია ხარატიშვილის** სახით, შემდგომში წოდებული „მიმწოდებელი“, ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საბანი

ხელშეკრულების საგანია: **ომარ ფეიქრიშვილის მემორიალური დაფის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეთათვის ალაფუშეტით მომსახურება.**
ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების საფუძველზე სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის მეთოდით. კლასიფიკატორის კოდი 55130000. დაფინანსების წყარო- ადგილობრივი ბიუჯეტი

2. ხელშეკრულების ობიექტი

„მიმწოდებელი“ ვალდებულია განახორციელოს **ომარ ფეიქრიშვილის მემორიალური დაფის გახსნის ღონისძიებაში მონაწილეთათვის ალაფუშეტით მომსახურება** ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში.

3. შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადები და ადგილი

3.1. მომსახურების მიწოდების თარიღად ითვლება: **2011 წლის 18 სექტემბერი.**

3.2. მომსახურების მიწოდების ადგილი : ქ. თელავის მუნიციპალიტეტი.

4. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი

4.1 შესყიდვის ობიექტი, ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2 შესყიდვის ობიექტის (მისი ნაწილის, ეტაპის) მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს „მიმწოდებელი“.

4.3 „შემსყიდველი“ ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს „მიმწოდებელს“ საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული მომსახურების რაოდენობის და წუნდების მიზეზის მითითებით.

5. მხარეთა უფლებები და ვალდებულებები

5.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია :
- გადაუხადოს „მიმწოდებელს“ შეთანხმებული ფასი;
- მიიღოს გაწეული მომსახურება.

5.2. „შემსყიდველს“ უფლება აქვს:
- გაუუქმოს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურება, თუ მისის ხარისხი არ შეესაბამება სტანდარტებს.

5.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
- გადასცეს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება დადგენილ ვადებში;
- დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა პირობა;

5.4. „მიმწოდებელს“ უფლება აქვს:
- მოსთხოვოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით შეთანხმებული ფასი.

6. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

6.1 ხელშეკრულების საერთო ღირებულება: **100 (ასი) ლარი.**

7. ანგარიშსწორების პირობები

7.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: **უნაღდო ანგარიშსწორება**
7.2. ანგარიშსწორების ვადა (გრაფიკი): **მომსახურების შემდეგ, ეტაპობრივად**
7.3. ანგარიშსწორების განხორციელებისათვის მიმწოდებელმა უნდა წარმოადგინოს, შემდეგი დოკუმენტები: **ანგარიშ-ფაქტურა, მიღება-ჩაბარების აქტი;**

8. ფორს-მაჟორული სიტუაციები

8.1 მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთ ვალდებულებათა სრულად ან ნაწილობრივ შესრულებაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა მოვლენები, აგრეთვე ომები და საომარი მოქმედებები, ექსპორტისა და იმპორტის აკრძალვა, თუ ისინი უსუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე.
8.2 ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
8.3 თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გრზელდება 3 თვეზე მეტ ხანს მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება კომპენსაციის მოთხოვნის გარეშე.

9. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

9.1. მხარეთა შორის წარმოქმნილი ყველა დავა გადაწყდება ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
9.2 თუ მხარეებს შორის შეთანხმება ვერ მოხერხდა, დავა გადაწყდება სასამართლოს წესით.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება ხელშეკრულების ხელის მოწერის დღიდან და ძალაშია **ამა წლის 30 სექტემბრამდე;**

11. სხვა პირობები

11.1. ხელშეკრულების ნებისმიერი ცვლილება ან დამატება ძალაშია მას შემდეგ, რაც იგი წერილობითი ფორმითაა შედგენილი და ხელმოწერილია მხარეთა მიერ.
11.2. ხელშეკრულებით დაფიქსირებული ფასის ყოველი შეცვლა მხარეების მიერ ფორმდება დოკუმენტალურად.
11.3. შესყიდვის ობიექტის მიღება ფორმდება მიღება-ჩაბარების აქტით, ხელშეკრულების მხარეების უფლებამოსილი წარმომადგენლების ხელმოწერით.

12. მხარეთა იურდიული მისამართები და რეკვიზიტები:

„შემსყიდველი“	„მიმწოდებელი“
თელავის მუნიციპალიტეტი	**შპს ლიმბო**
ს/კ 231280093	*ს/კ 231165235*
ქ. თელავი, ერეკლე II გამზ. №16	*თიბისი ბანკი თელავის ფილიალი*
	კოდი 220101824
	ა/№ GE14TB0900003602010078
	ტელ:825076107

„შემსყიდველი“ _____ „მიმწოდებელი“ _____